საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ზ. ფ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.08.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 053/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ე. რ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. რ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2021 წლის 02 აგვისტოს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. ფ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ე. რ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 2021 წლის 06 სექტემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზ. ფ.-მა განმარტა, რომ 2021 წლის 05 ივლისს გაზეთ ,,---'' N--- გამოცემაში მისმა შვილმა, გ. ფ.-მა ინტერვიუ მისცა ჟურნალისტ ზ. ნ.-ს და ისაუბრა მის მიმართ ოჯახური ძალადობის ფაქტზე წაყენებულ ცრუ ბრალდებებზე. ჟურნალისტი გადამოწმების მიზნით დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარეს, ყოფილი რძლის, ნ. მ.-ს წარმომადგენელს - ,,ს.-ის'' ადვოკატ ე. რ.-ს. ე. რ.-მ განაცხადა, რომ ,,გ. ფ.-ის მამა არის

პოლიციელი, მაქსიმალურად ცდილობდა მისი შვილის მფარველობას მანამდე, სანამ ს. არ ჩავერთეთ. ეს მოახერხა კიდეც. ნ.-ს პოლიციაში ძალიან ცუდად მოექცნენ...''.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის გაცხადება, რომ ის ერევა გამოძიების პროცესში და მის მიმდინარეობაზე ცდილობს ზეგავლენის მოხდენას, წარმოადგენს ცილისწამებას. მისი მხრიდან რაიმე მსგავსის განხორციელება იყო შეუძლებელი, ვინაიდან იმ დროს იმყოფებოდა კახეთში და ყველაფერი მოგვიანებით შეიტყო. საჩივრის ავტორის განცხადებით თუ პოლიციის მხრიდან მსგავს მოპყრობას მართლა ჰქონდა ადგილი მოწინააღმდეგე მხარეს შეეძლო მიემართა შესაბამისი ორგანოსთვის - გენერალური ინსპექციისთვის.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულმა განცხადებამ შელახა მისი რეპუტაცია, პატივი და ღირსება, იგი ითხოვდა დაემტკიცებინა ე. რ.-ს გამოძიების რა ეტაპზე ერეოდა იგი და რით გამოიხატა მისი ჩარევა საქმეში, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატს პასუხი უნდა ეგო ცილისწამებისთვისა და საჩივრის ავტორის ავტორიტეტის შელახვისთვის.

2. საჩივრის ავტორის მოწმის, გ. ფ.-ის ახსნა-განმარტება:

2.1 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2021 წლის 15 სექტემბერს საჩივრის ავტორის მოწმემ, გ. ფ.-მა, რომელიც არის ზ. ფ.-ის შვილი, დაადასტურა, რომ ადვოკატ ე. რ.-ის განცხადება იყო სიცრუე და აღნიშნულის გამო საჩივრის ავტორს შეელახა სახელი და რეპუტაცია.

2.2 მოწმის განმარტებით, ზ. ფ. ფიზიკურად ვერ ჩაერეოდა საქმის მიმდინარეობაში გამომდინარე იქიდან რომ იგი 10 წელია უკვე პენსიაზეა გასული, მანამდეც არ იყო ისეთი თანამდებობის პიროვნება, რომ 10 წლის მერეც ჰყოლოდა კონტაქტები სამსახურში და არც იკადრებდა ზედმეტად საქმეში ჩარევას.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა ე. რ.-მ 2021 წლის 09 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი, ხოლო 15 სექტემბერს ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, მან აღნიშნულ ინტერვიუში მხოლოდ განმარტა საკითხი, რომელიც აინტერესებდა მედიის წარმომადგენელს. ადვოკატის განმარტებით, ის გარემოება, რომ ბატონი ზ. ფ. პოლიციელი იყო, არც თავად საჩივრის ავტორს უარყვია.

3.2 ადვოკატის განცხადებით, მას მისი დაცვის ქვეშ მყოფისგან, ნ. მ.-სგან აქვს მიღებული ინფორმაცია, იმ მძიმე გამოცდილების შესახებ, რაც მას გადახდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში. მან, როგორც ადვოკატმა გააჟღერა მისი დაცვის ქვეშ მყოფის პოზიცია, ნ. მ.-ს ახსნით ეს იყო ზ. ფ.-ის ახლო კონტაქტების გავლენით განპირობებული მოპყრობა პოლიციის მხრიდან. ადვოკატი განმარტავს, რომ მან მხოლოდ პოზიცია დააფიქსირა მინიმალურად კრიტიკული, კონტრარგუმენტის სახით და მას სჯეროდა, რომ ფაქტობრივი გარემოებები ამტკიცებდა მისი კლიენტის ნათქვამს. ადვოკატი განმარტავს, რომ მის მიზანს წარმოადგენდა კლიენტის საუკეთესო ინტერესის დაცვა.

3.3 ადვოკატის განცხადებით, მტკიცების ტვირთი საჩივრის ავტორზე იყო და მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ადგილი ჰქონდა ცილისწამებას, გარდა ამისა საჩივრის ავტორი არ წარმოადგენდა საჩივრის წარდგენის უფლების მქონეს და აღნიშნული საკითხი ეთიკის კომიისიის განსჯადი არ არის.

4. ადვოკატის მოწმის, ნ. მ.-ს ახსნა-განმარტება:

4.1 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2021 წლის 15 სექტემბერს ადვოკატის მოწმის, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ნ. მ.-ს განცხადებით, ზ. ფ. მისი თანდასწრებით ხაზს უსვამდა და ამაყობდა, რომ ხშირი კონტაქტი ჰქონდა ,,შსს''-ში მომუშავე პირებთან და ამ კონტაქტების მეშვეობით შეეძლო საქმეებზე ზეგავლენის მოხდენა.

4.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატს საჩივრის ავტორი არაფერში დაუდანაშაულებია, რაც ზ. ფ.-ს არ ჩაუდენია. დაკავებისას პოლიცელები მას აშინებდნენ და აცხადებდნენ, რომ თუ ხმას ამოიღებდა მას აქეთ დასდებდნენ ბრალს, აღნიშნული დაშინება ვერ იქნებოდა შემთხვევითი და მომდინარეობდა ზ. ფ.-ისგან.

4.3 მოწმემ აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორი დღესაც ცუდად იყენებს თავის კონტაქტებს და ამის დადასტურებას წარმოადგენს მისი შვილის შეცვლილი ჩვენება მამის დარიგებისა და გავლენის შემდეგ.

II სამოტივაციო ნაწილი

5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

5.1 ადვოკატი ე. რ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

5.2 ზ. ფ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 02 აგვისტოს.

5.3 სადავო ქმედება განხორციელდა 05.07.2021-18.07.2021 პერიოდში. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

6. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ჟურნალისტებს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, ცილი დასწამა, რითაც შელახა საჩივრის ავტორის რეპუტაცია, პატივი და ღირსება.

7.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. რ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილი: ,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას''.

7.3 ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ადვოკატმა, კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და უნდა გამოიყენოს კანონით დადგენილი და გათვალისწინებული ყველა საშუალება, რომელიც საჭირო და აუცილებლად მიაჩნია კლიენტის ინტერესების დასაცავად (საქმე N081/15, 2015 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება).

7.4 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის ნებისმიერი ქცევა, მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება თუ უმოქმედობა განხილულ უნდა იქნას მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის (კლიენტის) ინტერესების დაცვის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. ადვოკატის ქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია დადგინდეს ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედება საჭირო და აუცილებელი იყო თუ არა კლიენტის ინტერესის დასაცავად. (საქმე N081/15, 2015 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება).

7.5 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმე N076/10 აღნიშნა, რომ „გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი", თუმცა ადვოკატი ვალდებულია საჯარო განცხადებების გაკეთების დროს დაიცვას ინფორმაციის სისწორე, „ადვოკატის მხრიდან ადგილი არ აქვს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, მაშინ, როდესაც მისი კომენტარები წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე" (05.09.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე N069/11).

7.6 მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესში, სადაც ზ. ფ.-ის შვილი ბრალდებულია, ხოლო მისი ყოფილი მეუღლე ნ. მ. დაზარალებულადაა ცნობილი, გამოკითხულია ზ. ფ.-ც, საქმეში წარმოდგენილია მისი გამოკითხვის ოქმი, შესაბამისად, მოწმის სტატუსის გამო ის წარმოადგენს პროცესის მონაწილეს და უფლებამოსილი განმცხადებელია.

7.7 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა გააჟღერა კლიენტის პოზიცია და მის მიზანს წარმოადგენდა კლიენტის ინტერესების დაცვა. დასაბუთებული

ვარაუდის სტანდარტით ადვოკატ ე. რ.-ის მიერ გაჟღერებული კომენტარი წარმოადგენს კლიენტის სუბიექტურ შეფასებას და მოსაზრებას. კომენტარი მიზნად არ ისახავდა ცილისწამებას, რადგან ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დაცვის ფარგლებში.

7.8 კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა მოსაზრება გამოხატა საქმეში არსებული გარემოებების შეფასებისა და კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის შედეგად, გამოთქვა აზრი, რაც წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შინაარსის სისწორე/მცდარობა მთლიანად დამოკიდებული იყო გამონათქვამების ავტორის შეხედულებებზე.

7.9 კოლეგია მიიჩნევს, რომ ღირსების შელახვის თაობაზე საჩივრის ავტორის მოსაზრება განპირობებული იყო სუბიექტური ფაქტორის, მისი დამოკიდებულებით და შეფასებით ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრების და არ ემყარებოდა ობიექტურ გარემოებებს. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატის მოსაზრებები თავისი შინაარსით არ გახლდათ შეურაცხმყოფელი და მიზნად არ ისახავდა საჩივრის ავტორის შეურაცხყოფას.

7.10 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ, რადგან მისი ქმედება არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

7.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №053/21 ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა დისციპლინური გადაცდომის არარსებობის გამო.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/